ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1374156

ნომერი: AR1234600

თარიღი : 04.07.2014

გაცემის თარიღი : 08.07.2014

გაცნობის თარიღი : 08.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი, N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფაჩულია პ/ნ 01026004332
- თბილისი ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის სახურავზე მაგთი GSM-ის ანძების მონტაჟის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, გიორგი სააკაძის მე–2 გასასვლელი N11, შპს „აკვარიუმი 2010“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის სახურავზე მაგთი GSM-ის ანძების მონტაჟის განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს„აკვარიუმი 2010“–ს– საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.10.13.016.107 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014299219 01/07/2014წ., სანიტარული დაცვის ორგანიზაციის პროექტი; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებსქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, გიორგი სააკაძის მე–2 გასასვლელი N11, შპს „აკვარიუმი 2010“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის სახურავზე მაგთი GSM-ის ანძების მონტაჟის განხორციელების შესაძლებლობას.

– აქვე გაცნობებთ, რომ სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ სანიტარული დაცვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტიზე შესაბამისი ჰიგიენური დასკვნა.

_ ანტენების მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსსტრუქციული მდგრადობა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge